



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

„დამტკიცებულია“

რექტორი

პროფ. გიორგი ონიანი

აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი № 7
29 იანვარი 2009 წელი

„დამტკიცებულია“

დეკანი

პროფ. ნინო ჩიხლაძე

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი № 7
28 იანვარი 2009 წელი

საბაკალავრო პროგრამა

არქეოლოგია

1. პროგრამის დასახელება: არქეოლოგია

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი არქეოლოგიაში
BA IN ARCHAEOLOGY

3. პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი და სტრუქტურული

ერთეულები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, არქეოლოგიისა და
სიძველეთმცოდნეობის დეპარტამენტი

4. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

მიზანი - სათანადო უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კადრების მომზადება:

- ა) არქეოლოგიური კვლევითი ცენტრებისა და ექსპედიციებისათვის.
- ბ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამებში მონაწილეობისათვის.
- გ) ტურიზმის სფეროში მოღვაწეობისათვის.
- დ) შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობისათვის.

შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრს არქეოლოგიაში ექნება შესაბამისი უნარ-ჩვევები:

ა) არქეოლოგიურ კვლევით ცენტრებში სამუშაოდ - არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა (სადაზვერვო სამუშაოებში მონაწილეობა და არქეოლოგიური ძეგლების მოძიება), გათხრა (სტაციონარულ არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობა), ფიქსაცია; არტეფაქტების კამერალური დამუშავება (ნივთების რესტავრაცია-კონსერვაცია, ქრონოლოგიურ-ტიპოლოგიური კლასიფიკაცია); ნივთიერ და წერილობით წყაროებზე (ქართული, ძველი ბერძნული და ლათინური) და სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობა; სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადება.

ბ) სამუზეუმო სფეროში საქმიანობისათვის - სამუზეუმო ექსპედიციებში (ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური) მონაწილეობა; მუზეუმების მოწყობის თანამედროვე სტანდარტები და გამოფენების ორგანიზაცია; საექსკურსიო საქმიანობა მუზეუმებში; სამუზეუმო კოლექციების დაცვა და რესტავრაცია-კონსერვაციის მეთოდები.

გ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამების განხორციელებისათვის და კულტურული ტურიზმის სფეროში მოღვაწეობისათვის - კულტურისა და ხელოვნების ძეგლებისა და სამუზეუმო კოლექციების შესახებ სათანადო ცოდნა; კულტურული მემკვიდრეობის,

კულტურულ ფასეულობათა და სამუზეუმო საქმიანობის შესახებ საკანონმდებლო აქტების დაუფლება; კულტურულ ფასეულობათა ექსპერტიზა; საექსკურსიო საქმიანობა საქართველოს ტურისტულ ინფრასტრუქტურაში შემავალ სხვადასხვა სახის ძეგლებზე.

დ) საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობისათვის - კონკრეტული ცოდნა საქართველოს და მსოფლიოს ისტორიაში, არქეოლოგიაში, მსოფლიოს ხალხთა კულტურებსა და ცივილიზაციებში (უძველესი, კლასიკური და შუა საუკუნეების ეპოქები), კულტურისა და ხელოვნების ფასეულობებში; კლასიკური (ძველი ბერძნული და ლათინური) ენების, მითოლოგიისა და ლიტერატურის ცოდნა.

დასაქმების სფეროები :

არქეოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები.
მუზეუმები.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამები.

კულტურულ ფასეულობათა ექსპერტიზა.

ტურისტულ-საექსკურსიო დაწესებულებები.

კულტურულ - საგანმანათლებლო პროგრამები.

სასწავლო-სამეცნიერო ცენტრები.

5. პროგრამაზე მიღების წინაპირობები - საშუალო სკოლის ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლა.

6. პროგრამის სტრუქტურა -

ა) საფაკულტეტო სავალდებულო დისციპლინები - 20 კრედიტი

ბ) საფაკულტეტო არჩევითი დისციპლინები - 10 კრედიტი

გ) პროგრამის სავალდებულო კურსები - 130 კრედიტი

დ) პროგრამის არჩევითი კურსები - 10 კრედიტი

ე) თავისუფალი კრედიტები - 10 კრედიტი

ვ) დამატებითი სპეციალობის (Minor) დისციპლინები - 60 კრედიტი

პროგრამის სტრუქტურა

№	კურსი	სკ	ლ./პრ./ს/	კრედი -ტა რაოდე ნობა	სემესტრები								წინაპირობა
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები (20 კრედიტი)													
1	ფილოსოფიის შესავალი	3	2.0.1	5	5								
2	ენათმეცნიერების შესავალი	3	2.0.1	5	5								
3	ლიტმცოდნეობის შესავალი	3	2.0.1	5	5								
4	კლასიკური ფილოლოგია	4	2.0.2	5	5								
საფაკულტეტო არჩევითი კურსები (10 კრედიტი - 2კურსი)													
1	საფაკულტეტო არჩევითი კურსი I (შესავალი კურსები)	3	2.0.1	5	5								
	შესავალი არქეოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი რომანულ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი სლავურ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
2	საფაკულტეტო არჩევითი კურსი II (ენები)	3	0.3.0	5	5								
	ინგლისური ენა	3	0.3.0	5	5								
	გერმანული ენა	3	0.3.0	5	5								
	ფრანგული ენა	3	0.3.0	5	5								
	რუსული ენა	3	0.3.0	5	5								
	ქართული ენა(უცხოელ სტუდენტთათვის)	3	0.3.0	5	5								
	სპარსული ენა	3	0.3.0	5	5								
	თურქული ენა	3	0.3.0	5	5								

	არაბული ენა	3	0.3.0	5	5								
პროგრამის სავალდებულო კურსები (130 კრედიტი)													
1	კლასიკური ენები (ლათინური) 1	3	0.3.0	5			5						
2	კლასიკური ენები (ლათინური) 2	3	0.3.0	5				5					
3	კლასიკური ენები (ძვ.ბერძნული) 1	3	0.3.0	5					5				
4	კლასიკური ენები (ძვ.ბერძნული) 2	3	0.3.0	5						5			
5	არქეოლოგიის საფუძვლები	3	2.0.1	5			5						
6	უძველესი ცივილიზაციები	3	2.0.1	5			5						
7	საველე არქეოლოგიური პრაქტიკა 1			5			5						
8	საველე არქეოლოგიური პრაქტიკა 2			5				5					
9	წყაროთმცოდნეობა	3	2.0.1	5			5						
10	არქეოლოგიური კვლევისა და კოლექციების დაცვის მეთოდები	3	2.0.1	5			5						
11	საქართველოს ისტორია (კლასიკური და შუა საუკუნეების ეპოქა) 1	3	2.0.1	5			5						
12	საქართველოს ისტორია (კლასიკური და შუა საუკუნეების ეპოქა) 2	3	2.0.1	5				5					
13	წინაისტორიული ხანის საქართველოს არქეოლოგია (ქვისა და ბრინჯაოს ეპოქა)1	3	2.0.1	5					5				
14	წინაისტორიული ხანის საქართველოს არქეოლოგია (ქვისა და ბრინჯაოს ეპოქა)2	3	2.0.1	5						5			
15	ეგვიდა-არქეოლოგია, კულტურა, ისტორია	3	2.0.1	5					5				
16	ანტიკური არქეოლოგია	3	2.0.1	5						5			

17	პრეისტორიული და კლასიკური ეპოქის არქეოლოგიური კულტურები	3	2.0.1	5					5			
18	კლასიკური ეპოქის და შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგია 1	3	2.0.1	5						5		
19	კლასიკური ეპოქის და შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგია 2	3	2.0.1	5							5	
20	ქალაქები და საქალაქო ცხოვრება საქართველოში 1	3	2.0.1	5						5		
21	ქალაქები და საქალაქო ცხოვრება საქართველოში 2	3	2.0.1	5							5	
22	სამუზეუმო საქმე და პრაქტიკა 1	3	2.0.1	5						5		
23	სამუზეუმო საქმე და პრაქტიკა 2	3	2.0.1	5							5	
16	ბიზანტიური ცივილიზაცია	3	2.0.1	5							5	
17	უცხო ენა	3	0.3.0	5		5						
18	ქართული ენა	1.5	1. 0. 0.5.	2.5		2.5						
19	ქართული ლიტერატურა	1.5	1. 0. 0.5.	2.5		2.5						
პროგრამის არჩევითი კურსები (10კრედიტი - 2 კურსი)												
1	არჩევითი კურსი - 1	3	2.0.1					5				
1.1	ძვ. მსოფლიოს ისტორია											
1.2	ეთნოლოგიის ზოგადი კურსი											
2	არჩევითი კურსი - 2	3	2.0.1					5				
2.1	ბერძნულ-რომაული სამყარო და საქართველო											
2.2	მსოფლიო კულტურა-ისტორიული კვლევის ობიექტი											
213												
	თავისუფალი კრედიტები	3		10					5		5	
	დამატებითი სპეციალობის (Minor) კრედიტები			60			10	10	10	10	10	10
	სულ			240	30	30	30	30	30	30	30	30

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში ლ/პ/ს/ლაბ. - ლექცია/პრაქტიკული/სემინარი/ლაბორატორიული

7. სასწავლო კურსების ანოტაციები

საფაკულტეტო სავალდებულო კურსები (20 კრედიტი)

კურსის კოდი: SFB0500

კურსის დასახელება: **ფილოსოფიის შესავალი** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კულტურის, რელიგიის, ფილოსოფიის პრობლემატიკა, აზროვნების ზოგადი კანონზომიერებები, შემეცნების თეორია, ღირებულებების, რწმენის, თავისუფლების საკითხები. ანტიკური ფილოსოფიის მიმოხილვა, შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის იდეალები, მეცნიერული პროგრესის იდეა ახალ დროში, თანამედროვე აზროვნება და პოსტმოდერნული სიტუაციის ანალიზი.

კურსის კოდი: HLB0110

კურსის დასახელება: **ენათმეცნიერების შესავალი** (5 კრედიტი).

ენათმეცნიერების შესავლის კურსი იკითხება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის პირველ წელს. კურსის მიზანია, გააცნოს სტუდენტებს ენათმეცნიერების ძირითადი საკითხები, ჩამოუყალიბოს დისციპლინისათვის არსებითი ტერმინოლოგიური ბაზა, შეასწავლოს ენათმეცნიერების ყველა დარგის საფუძვლები. კურსი გულისხმობს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს.

კურსის კოდი: HGB0230

კურსის დასახელება: **ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი** (5 კრედიტი).

ლიტერატურისმცოდნეობის შესავლის კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ლიტერატურისმცოდნეობის პროპედევტიკა, ლიტერატურისმცოდნეობა და მისი ძირითადი დარგები, მონათესავე და დამხმარე დისციპლინები, პოეტიკის განვითარების ეტაპები; ლიტერატურა და ხელოვნება; ხელოვნების დარგები; ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსი და ფორმა; თემა, იდეა, მიზამდასახულობა; ლიტერატურული ნაწარმოების კომპოზიცია და სიუჟეტი; პერსონაჟთა კლასიფიკაცია; ადამიანთა სახეები გამოსახვის მეთოდის მიხედვით; მხატვრულ სახეთა შექმნის საშუალებები. დახასიათების სახეები; მწერლის ენა და პერსონაჟის ენა, პოეტური ლექსიკა, ტროპის სახეები, პოეტური სინტაქსის ფიგურები; ლექსი და პროზა (განსხვავება). რითმა და მისი სახეები; ლექსის მთავარი ზომები (ტერფის სახეები). ლექსთწყობის სისტემები. ლექსის მთავარი სქემები (ქართული, ევროპული, აღმოსავლური). ლიტერატურის გვარებად და ჟანრებად ჩამოყალიბება: ეპიკური, ლირიკული და დრამატული ჟანრები.

კურსის კოდი: HAB0390

კურსის დასახელება: **კლასიკური ფილოლოგია (5 კრედიტი).**

კურსის მიზანია ანტიკური ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლა ანტიკურობის ინტელექტუალურ და სოციალურ კონტექსტში, ლათინური ენის შესწავლა, მისი ფორმირებისა და განვითარების ძირითადი ეტაპების განხილვა ინდოევროპული ენათმეცნიერების ჭრილში, ანტიკური კულტურის, როგორც ევროპული და გარკვეულწილად, თანამედროვე მსოფლიო კულტურის განხილვა კვლევის თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით. ჟანრის ფორმირებისა და განვითარების კანონზომიერებისა თუ თავისებურებების ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ჰომეროსის, ჰესიოდეს, აპოლონიოს როდოსელის, ვირგილიუსის, ოვიდიუსის, საფოს და სხვათა შემოქმედებას, ანტიკური და პოსტანტიკური კონცეფციების შედარებით განხილვას.

საფაკულტეტო არჩევითი კურსი I (5 კრედიტი)

(შესავალი კურსები)

კურსის კოდი: HAB0380

კურსის დასახელება: **შესავალი არქეოლოგიაში (5 კრედიტი).**

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: არქეოლოგია, როგორც მეცნიერების დარგი (საგანი, მიზანი და ამოცანები); ხელოვნების ძეგლთა და სიძველეთა დაგროვება-კოლექციონირება; არქეოლოგიურ ძეგლთა დაცვა და სამუზეუმო კოლექციები; ნივთიერი კულტურა-არქეოლოგიის ძირითადი წყარო (კერამიკა, ლითონები, მინა, ქვა...); არქეოლოგია თანამედროვე მეცნიერებათა სისტემაში; არქეოლოგია და დამხმარე დისციპლინები (ნუმისმატიკა, ეპიგრაფიკა, გლიპტიკა); ეთნოარქეოლოგიური კვლევა; არქეოლოგია და ჰუმანიტარული მეცნიერებები (კლასიკური ფილოლოგია; ისტორია, ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, ხელოვნების და კულტურის ისტორია); არქეოლოგია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (პალეოანთროპოლოგია, პალეობოტანიკა, პალეობიოლოგია, პალეოეკოლოგია); არქეოლოგია და სინფორმაციო ტექნოლოგიები; წერილობითი წყაროები და არქეოლოგია; არქეოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია; კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.

კურსის კოდი: HIB0791

კურსის დასახელება: **შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოლოგიის და ისტორიის ცნება; აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესწავლის საგანი და მიზნები; სემიტოლოგიის, თურქოლოგიისა და ირანისტიკის სკოლების ტრადიციები საქართველოში; აღმოსავლური ფილოლოგიისა და ისტორიის კვლევის ძირითადი მიმართულებები და მათი შესწავლის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის. მახლობელი

ადმოსაველთის ხალხთა ძირითადი ლიტერატურული ტენდენციები; ქართულ-ადმოსავლური ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობების საკითხები.

კურსის კოდი: HLB0541

კურსის დასახელება: **შესავალი ქართულ ფილოლოგიაში (5 კრედიტი).**

კურსი შედგება ორი ნაწილისაგან: შესავალი ქართულ ენაში და შესავალი ქართულ ლიტერატურაში. ქართული ლიტერატურის პროპედევტიკულ კურსში სტუდენტებს ლექციები წაეკითხებათ შემდეგ საკითხებზე: ქართული მწერლობის განვითარების უმთავრესი პერიოდები და ძირითადი ტენდენციები უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე, „ვეფხისტყაოსნის“ როლისა და ადგილისათვის მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, ლიტერატურული დაჯგუფებანი და ძირითადი მიმდინარეობანი ქართულ მწერლობაში, ემიგრაციაში მოღვაწე ქართველ მწერალთა შემოქმედება, ქართული კულტურისა და მწიგნობრობის კერები საქართველოსა და უცხოეთში... აღნიშნული საკითხები შესწავლილ იქნება მსოფლიო ლიტერატურის შესაბამის მოვლენებთან კონტექსტში. კურსის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს სასკოლო განათლება.

კურსის მეორე ნაწილი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართველი ერის ისტორიული განვითარების გზა, ქართული ენის წარმოშობა და მისი თეორიები, ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა სისტემაში, ქართული დამწერლობის წარმოშობა, განვითარების ეტაპები, ქართული ენის ურთიერთობა სხვა ენებთან, დიალექტები და ურთიერთობა სალიტერატურო ენასთან, ქართული ენის ნორმირების საკითხები.

კურსის კოდი: HEB0241

შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოლოგიის ცნება; ფილოლოგიის მომიჯნავე დისციპლინები; ინგლისური ფილოლოგიის, როგორც დარგის, შესწავლის საგანი და მიზნები; ინგლისური ფილოლოგიის ძირითადი ასპექტები, ინგლისური ენის პრაქტიკული კურსების ზოგადი აღწერილობა მოდულური სწავლების სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით: თითოეული ასპექტისა და ინგლისური ენის გრამატიკის საფუძვლების აღწერა; ინგლისური ენის თეორიული კურსების მიზნებისა და ამოცანების ზოგადი დახასიათება; ინგლისურ ენაზე საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების მიხედვით საკურსო და სადიპლომო ნაშრომის შესრულების ტექნოლოგიების სწავლება;

კურსის ასევე მიზნად ისახავს მიაწოდოს სტუდენტს ზოგადი ხასიათის ინფორმაცია ინგლისური ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების შესახებ; გამოუმუშავოს მას ფილოლოგიის უნარ-ჩვევები (ბიბლიოთეკაში მუშაობა, რეფერატის დაწერა, რეფერატის, სამეცნიერო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესები).

კურსის კოდი: HFB0511

შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოლოგიის ცნება; ფილოლოგიის მომიჯნავე დისციპლინები; გერმანული ფილოლოგიის, როგორც დარგის, შესწავლის საგანი და მიზნები; აღნიშნულ კურსში ისწავლება ცალკეული საკითხები გერმანული ენის მორფოლოგიიდან და სინტაქსიდან, ასევე შესასწავლი ენის ზოგიერთი მომენტი ენის ისტორიიდან: მაგ., გერმანული ენის წარმოშობის ისტორიული პირობები, გერმანიკულ ენათა ოჯახი, გერმანიკული ტომები, გერმანული დიალექტები, გერმანული ენის ეროვნული ვარიანტები, გერმანული ენის არსებობის ფორმები, საშუალო გერმანულის ზოგადი დახასიათება, ადრეული ახალი გერმანულის ზოგადი დახასიათება; ლიტერატურული ენის ფორმირების ძირითადი ეტაპები და ტენდენციები, საკითხები ენის ლექსიკური მარაგის შევსებისა და გამდიდრებისათვის.

ამასთანავე, კურსი სტუდენტს მიაწვდის ზოგადი ხასიათის ინფორმაციას გერმანული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების შესახებ; გამოუმუშავებს მას ფილოლოგიისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს (ბიბლიოთეკაში მუშაობა, რეფერატის დაწერა, რეფერატის, სამეცნიერო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესები).

კურსის კოდი: HFB0611

კურსის დასახელება: შესავალი რომანულ ფილოლოგიაში (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოლოგიის ცნება; ფილოლოგიის მომიჯნავე დისციპლინები; ფრანგული ფილოლოგიის, როგორც დარგის, შესწავლის საგანი და მიზნები;

აღნიშნულ კურსში ზოგადად ისწავლება ენის თეორიის საწყისი ცნებები ფრანგული ენის მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკურ-სემანტიკური და სტილისტური სისტემების ზოგადი დახასიათების საშუალებით. კურსის მიზანია აგრეთვე კურიკულუმით გათვალისწინებული შესასწავლი ენობრივი ასპექტების მიმოხილვა. შესავალი ფრანგულ ფილოლოგიაში ითვალისწინებს აგრეთვე სტუდენტისათვის ზოგადი ხასიათის ინფორმაციის მიწოდებას ფრანგული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების შესახებ;

კურსის მიზანია, სტუდენტს ჩამოუყალიბოს ფილოლოგიის უნარ-ჩვევები (ბიბლიოთეკაში მუშაობა, რეფერატის დაწერა, რეფერატის, სამეცნიერო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესები).

კურსის კოდი: HSB0361

კურსის დასახელება: შესავალი სლავურ ფილოლოგიაში (5 კრედიტი).

ფილოლოგიის, როგორც ჰუმანიტარული მეცნიერების განსაზღვრა. სლავური ფილოლოგიის სპეციფიკა და განვითარების ეტაპები. წამყვანი სკოლებისა და

პერსონალიების დახასიათება. ლიტერატურის, როგორც მეცნიერებისა და სიტყვის ხელოვნების ადგილი რუსული კულტურის ისტორიაში.

შესავალი სლავურ ფილოლოგიაში (ენა) აცნობს სტუდენტებს სლავური ენების ადგილს სხვა ევროპულ ენებს შორის, აგრეთვე აძლევს წარმოდგენას მათ ფონეტიკური და გრამატიკული სპეციფიკის შესახებ.

კურსი ეყრდნობა სტუდენტის მიერ სკოლაში მიღებულ ცოდნას. მისი შესწავლა ხდება მომიჯნავე დისციპლინების - კლასიკური ფილოლოგიისა და ენათმეცნიერების შესავლის პარალელურად.

საფაკულტეტო არჩევითი კურსი II (ენები) (5 კრედიტი)

კურსის კოდი: HEB0051

ინგლისური ენა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს ინგლისური ენის ოთხივე ასპექტის – წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი – კომპლექსურ სწავლებას; გრამატიკული მასალა: სიტყვათწარმოების წესები, საყოველთაოდ მიღებული წერილობითი ნორმები, მოსმენილი მასალის აღქმა და ანალიზი, საუბრის დიალოგური და მონოლოგური ფორმით წარმართვა, კითხვითი ტიპის დავალებების შესრულება. ზეპირი და წერითი უნარ-ჩვევების განვითარება სწავლების თანამედროვე მეთოდების საშუალებების სასწავლო პროცესში ჩართვა, სააუდიტორიო, კლასგარეშე და ინდივიდუალური შეთავსებითი ხასიათის მუშაობა, ჰენდაუტების, აუდიო-ვიდეო მასალების, უახლესი სახელმძღვანელოების გამოყენება.

კურსის კოდი: HFB0071

გერმანული ენა (5 კრედიტი)

კურსის სტატუსი არის არჩევითი და ეყრდნობა სასკოლო განათლებით მიღებულ უნარ-ჩვევებს. ენის შემსწავლელი უნდა ფლობდეს საბაზისო ცოდნას გერმანული ენის ზეპირ და წერით მეტყველებაში. სწავლებისას კომპლექსურად ხდება სხვადასხვა უნარებზე მუშაობა, გრამატიკის საფუძვლების უცხო ენაზე თეორიულად და პრაქტიკულად დამუშავება, მარტივი აუტენტური დიალოგების მოსმენა და გაგება, წერილობით ელემენტარული ორთოგრაფიული ნორმების გაცნობა და მარტივი კარნახების შესრულება. კურსში ასევე გათვალისწინებულია სტუდენტებისათვის ქვეყნისმცოდნეობითი მოკლე ინფორმაციების (კლიშეები, რეალიები) გაცნობა. კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტმა უნდა შეძლოს ელემენტარული საუბარი, მარტივი, ადაპტირებული ტექსტის გაგება და დონის შესაბამისი ლექსიკურ-გრამატიკული ტესტის შესრულება.

კურსის კოდი: HFB0341

კურსის დასახელება: **ფრანგული ენა (5 კრედიტი).**

კურსის სტატუსი არის არჩევითი და ეყრდნობა სასკოლო განათლებით მიღებულ უნარ-ჩვევებს. ენის შემსწავლელი უნდა ფლობდეს საბაზისო ცოდნას ფრანგული ენის ზეპირ

და წერით მეტყველებაში. სწავლებისას კომპლექსურად ხდება სხვადასხვა უნარებზე მუშაობა, გრამატიკის საფუძვლების უცხო ენაზე თეორიულად და პრაქტიკულად დამუშავება, მარტივი აუტენტური დიალოგების მოსმენა და გაგება, წერილობით ელემენტარული ორთოგრაფიული ნორმების გაცნობა და მარტივი კარნახების შესრულება. კურსში ასევე გათვალისწინებულია სტუდენტებისათვის ქვეყნისმცოდნეობითი მოკლე ინფორმაციების (კლიშეები, რეალიები) გაცნობა. კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტმა უნდა შეძლოს ელემენტარული საუბარი, მარტივი, ადაპტირებული ტექსტის გაგება და დონის შესაბამისი ლექსიკურ-გრამატიკული ტექსტის შესრულება.

კურსის კოდი: HSB0291

კურსის დასახელება: რუსული ენა (5 კრედიტი).

რუსული ენის სწავლების ლინგვისტურ კურსში სტუდენტის ლინგვისტურ გა მეთოდური დაოსტატების პროცესი მიზნად ისახავს დაეხმაროს სტუდენტს რუსული ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარებასა და სრულყოფაში, ორთოგრაფიისა და ორთოეპიის სფეროში არსებული ცოდნის კორექტირებაში, გაღრმავებასა და აქტივიზაციაში. კურსში შესწავლილი იქნება: რუსული ენის ძირითადი ორთოგრაფიული ნორმები და მოხდება წერის დროს მათი სწორად გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება; რუსული ენის ძირითადი ორთოეპიული ნორმები და ზეპირი მეტყველების დროს მათი სწორად გამოყენება; მოხდება რუსულ ენაზე მარტივი ტექსტების კითხვის, თარგმნის, გაგების, ანალიზის, გადმოცემის უნარის განვითარება

კურსის კოდი: HIB0031

კურსის დასახელება: არაბული ენა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს არაბული ანბანის, კალიგრაფიის ტექნიკის (ასოთა მოხაზულობა, გადაბმა და ა. შ.), დამატერბითი ნიშნების, კითხვისა და წარმოთქმის წესების შესწავლას; უმარტივესი გახმოვნებული ფრაზების, ტექსტებისა და დიალოგების კითხვას, გაგებასა და გადმოცემას.

კურსის კოდი: HIB0021

კურსის დასახელება: თურქული ენა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს თურქული ენის ანბანის, კითხვის და წარმოთქმის წესების შესწავლას, უმარტივესი ფრაზების, ტექსტებისა და დიალოგების კითხვას, გაგებასა და გადმოცემას.

კურსის კოდი: HIB0011

კურსის დასახელება: სპარსული ენა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს არაბული ანბანის, კალიგრაფიის ტექნიკის (ასოთა მოხაზულობა, გადაბმა და ა. შ.), დამატერბითი ნიშნების, კითხვისა და წარმოთქმის წესების შესწავლას; უმარტივესი გახმოვნებული ფრაზების, ტექსტებისა და დიალოგების კითხვას, გაგებასა და გადმოცემას.

კურსის კოდი: HLB0401

კურსის დასახელება: ქართული ენა უცხოელი სტუდენტებისათვის

საგანი ხელს შეუწყობს არაქართველ სტუდენტთა (ან სპეციალისტთა) წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის ჩამოყალიბება-ამაღლებას, დიალოგის წარმართვის, დამოუკიდებელი აზროვნებისა და მსჯელობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ქართული ენის შესაძლებლობების დაუფლებას, რაც ქართული ენის შესწავლით დაინტერესებული პიროვნების პროფესიონალიზმის საფუძველია.

საგანი ითვალისწინებს ქართველოლოგიის ზოგადი საკითხების, ქართული ენის გრამატიკული წყობისა და ლექსიკური ფონდის, განსაკუთრებით თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა შესწავლას.

პროგრამის სავალდებულო კურსები

კურსის კოდი: HAB0040

კურსის დასახელება: კლასიკური ენები (ლათინური) 1 (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ინდოევროპული სისტემის უძველეს სამწერლობო ენათა რიცხვში შემავალი ლათინური ენის ლექსიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი; ცნობილი ლათინური სენტენციები და ფრთოსანი სიტყვები; ევროპული ცივილიზაციის და კულტურის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლის მქონე რომაული კულტურის სხვადასხვა საკითხები; ლათინურენოვან ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებთან მუშაობა (კითხვა, წერა, თარგმნა). შეისწავლება შემდეგი გრამატიკული მასალა: ლათინური ანბანი, მარცვალი, მახვილი, ზმნის 4 ტიპის უღლება, ბრძანებითი კილო, კანკლედობები.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:

კლასიკური ფილოლოგია; უძველესი ცივილიზაციები.

კურსის კოდი: HAB0410

კურსის დასახელება: კლასიკური ენები (ლათინური) 2 (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ გრამატიკულ მასალას: პირის ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელები, ინფინიტივუსი, ზედსართავი სახელი, ზმნის დროები, კილო, რთული ზმნები, არაწესიერი ზმნები, გერუნდიუმი, გერუნდივუმი, სენტენციები, გაბმული ტექსტები.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:

კლასიკური ენები (ლათინური) 1

კურსის კოდი: HAB0110

კურსის დასახელება: კლასიკური ენები (ძველი ბერძნული) 1 (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ინდოევროპულ ენათა ოჯახში შემავალი ძველი ბერძნული ენის ლექსიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი; ცნობილი სენტენციები

და ფრთოსანი სიტყვები; მსოფლიო ისტორიაში უდიდესი და უმდიდრესი ტრადიციების მქონე ხალხის კულტურის სხვადასხვა საკითხები; ბერძნულენოვან წყაროებთან მუშაობა (კითხვა, წერა, თარგმნა). შესწავლილი იქნება შემდეგი გრამატიკულ მასალა: ბგერათა კლასიფიკაცია, მახვილის ნისნები, პროკლიტიკები, ენკლიტიკები, კანკლედობები, ზმნის დროები, ზმნიწინადა.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:
კლასიკური ფილოლოგია; უძველესი ცივილიზაციები.

კურსის კოდი: HAB0420

კურსის დასახელება: **კლასიკური ენები (ძველი ბერძნული) 2** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი, ზმნის უღლება, წინდებული, კავშირი, ნაწილაკები, სიტყვაწარმოება, დრო-კილოთა ხმარება წინადადებაში, ბერძნული მეტრიკა, სენტენციები, გაბმული ტექსტები.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:
კლასიკური ენები (ძველი ბერძნული) 1

კურსის კოდი: HAB0010

კურსის დასახელება: **არქეოლოგიის საფუძვლები** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: არქეოლოგიის ისტორია უძველესი დროიდან თანამედროვე ეპოქამდე; არქეოლოგიის როგორც სამეცნიერო დიციპლინის განვითარების ძირითადი ეტაპები; არქეოლოგიის ძირითადი სკოლები, მიმართულებები და პერსპექტიული განვითარების გზები; ქართველი სიძველეთმცოდნეები და არქეოლოგები; არქეოლოგიური პერიოდიზაცია და ქრონოლოგია; ისტორიული წყაროები; არქეოლოგიური ძეგლები (სადგომები, ნაქალაქარები, ნასოფლარები, სამარხები, სახელოსნოები, განძები, ცალკეული მონაპოვრები); კულტურული ფენა; არქეოლოგიური წყაროების (წერილობითი ძეგლები, არქეოლოგიური არტეფაქტები-ხუროთმოძღვრული ძეგლები, ქანდაკება, კერამიკა, მინა, ლითონები, მონეტები, საბეჭდავები) სპეციფიკა, მათი კლასიფიკაცია-ინტერპრეტაცია და წერილობით წყაროებთან ურთიერთმიმართება;

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:
შესავალი არქეოლოგიაში.

კურსის კოდი: HAB0020

კურსის დასახელება: **უძველესი ცივილიზაციები** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ცივილიზაციისა და კულტურის წარმოქმნის საკითხები და მათი ურთიერთმიმართება; უძველეს ცივილიზაციათა ტიპოლოგიური შესწავლა კულტუროლოგიურ ასპექტში; ქრონოლოგიური პრინციპის საფუძველზე თანმიმდევრულად შეისწავლება-მითიური ცივილიზაციები; ადრეადმოსავლური კულტურები; ადმოსავლური ცივილიზაცია (ეგვიპტური, მესოპოტამიური, წინა აზიის); ხმელთაშუაზღვისპირეთის

ცივილიზაცია (კრეტა-მიკენი, კიკლადური ციკლი და ბერძნული კულტურის პრობლემური საკითხები); ბერძნული კულტურის ფორმირებაში კოლხური კულტურის როლი და მნიშვნელობა.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:
შესავალი არქეოლოგიაში; კლასიკური ფილოლოგია.

კურსის კოდი: HAB0030

კურსის დასახელება: **არქეოლოგიური პრაქტიკა 1** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ათვისებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ განხორციელება - საველე არქეოლოგიურ ექსპედიციების დაგეგმვა და ორგანიზაცია: სადაზვერვო სამუშაოებში მონაწილეობა და არქეოლოგიური ძეგლების მოძიება; სტაციონარულ არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობა; არქეოლოგისათვის აუცილებელი საველე კვლევის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება; სათანადო დოკუმენტაციის (სამუშაოებისათვის საჭირო ნებართვები, საველე დავთარი, დღიური და სხვა) შედგენა; მოპოვებული მასალების საცავებში (არქეოლოგიური ბაზა, მუზეუმი) განთავსება, პირველადი კონსერვაცია და მათი კლასიფიკაცია-ინტერპრეტაცია.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:
შესავალი არქეოლოგიაში; არქეოლოგიის საფუძვლები;

კურსის კოდი: HAB0400

კურსის დასახელება: **არქეოლოგიური პრაქტიკა 2** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საველე არქეოლოგიურ ექსპედიციებში მონაწილეობა: სადაზვერვო სამუშაოების დამოუკიდებლად ჩატარება; სხვადასხვა ტიპის არქეოლოგიური ძეგლების მოძიება; არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობის მიღება; არქეოლოგის საველე დავთარის და დღიურის დამოუკიდებლად წარმოება; არქეოლოგიური არტეფაქტების პირველადი დამუშავება; სხვადასხვა ტიპის მასალათა დამოუკიდებლად რესტავრაცია-კონსერვაცია; არქეოლოგიურ ძეგლებზე საექსკურსიო მომსახურეობა; პრაქტიკის პერიოდში შესწავლილი არქეოლოგიურ ძეგლებზე ნაშრომების შექმნა.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:
არქეოლოგიური პრაქტიკა 1, არქეოლოგიური კვლევებისა და კოლექციების დაცვის მეთოდთა

კურსის კოდი: SHB0320

კურსის დასახელება: **წყაროთმცოდნეობა** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: წყაროთმცოდნეობა, როგორც რეალური სამყაროს შემეცნების განსაკუთრებული მეთოდი, წყარო, როგორც კულტურის ფენომენი და შემეცნების რეალური ობიექტი; წყაროთმცოდნეობა თანამედროვე მეცნიერებათა სისტემაში; წერილობით წყაროთა კლასიფიკაცია; წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემები; ნარატული და ეპიგრაფიკული ძეგლები;

დოკუმენტური მასალა, აქტები, წარწერები და რბილ მასალაზე ნაწერი ძეგლები; ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა, მატიაწეები და ქრონიკები; მხატვრული ლიტერატურის ძეგლები, საისტორიო პოეზია, ალაპები და სულთა მატიაწეები, საგვარეულო ქრონიკები; სიგელები და საკანონმდებლო ძეგლები; ქართული საისტორიო წყაროები („ქართლის ცხოვრება“, „მოქცევაი ქართლისაი“); უცხოური წყაროები ქართველი ტომებისა და საქართველოს შესახებ ქრონოლოგიური პერიოდის მიხედვით; თანამედროვე ქართული წყაროთმცოდნეობა.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:
შესავალი არქეოლოგიაში.

კურსის კოდი: HAB0050

კურსის დასახელება: **არქეოლოგიური კვლევისა და კოლექციების დაცვის მეთოდები (5 კრედიტი).**

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: არქეოლოგიური ძეგლების (ნაქალაქარი, ნასოფლარი, ნამოსახლარი, სადგომი, სამაროვანი და სხვა) დაზვერვა-მოძიების და გათხრების მეთოდები; საველე სამუშაოთა ორგანიზება; ძეგლის ტოპოგრაფია და სტატიგრაფია; მოპოვებული არტეფაქტების ფიქსაცია, კამერალური დამუშავება, კლასიფიკაცია, ინტერპრეტაცია; დათარიღების მეთოდები; მასალათა შენახვა და მოვლა-პატრონობა; არქეოლოგიური არტეფაქტების (კერამიკა, ლითონები, მინა, ქვა ...) სპეციფიკა; არქეოლოგიური ძეგლების კონსერვაცია-რესტავრაცია და დაცვის თანამედროვე ტექნოლოგიები; საკანონმდებლო აქტები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა და კულტურულ ფასეულობათა შესახებ.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:
შესავალი არქეოლოგიაში; არქეოლოგიის საფუძვლები.

კურსის კოდი: HAB0060

კურსის დასახელება: **საქართველოს ისტორია (კლასიკური ეპოქა) 1 (5 კრედიტი).**

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართველთა წარმომავლობის საკითხი; სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები; კოლხეთი ანტიკურ ხანაში; ბერძნული კოლონიზაცია და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი; ბერძნული და კოლხური კულტურების ურთიერთობების საკითხი; ქართლის სამეფოს წარმოქმნა; ქართლი ძვ. წ. III-I საუკუნეებში; რომის ექსპანსია კოლხეთსა და იბერიაში; დასავლეთ საქართველო ახ. წ. I-III საუკუნეებში; აღმოსავლეთ საქართველო I-III საუკუნეებში; რომაული კულტურა და საქართველო; ანტიკური ხანის ქართული კულტურა.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:
შესავალი არქეოლოგიაში; წყაროთმცოდნეობა.

კურსის კოდი: HAB0080

კურსის დასახელება: **საქართველოს ისტორია (შუა საუკუნეების ეპოქა) 2 (5 კრედიტი).**

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართლი და ეგრისი IV-V საუკუნეებში; ბრძოლა ირანისა და ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ; ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა; საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება XI-XII საუკუნეებში; საქართველო XIII-XV საუკუნეებში; საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლა სამეფო-სამთავროებად; ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისათვის XVI საუკუნეში; საქართველოს სამეფო სამთავროების სახელმწიფოებრივი წყობილება XVI-XVII საუკუნეებში; საქართველო XVII საუკუნეში; აღმოსავლეთ საქართველო XVIII საუკუნის I ნახევარში; დასავლეთი და სამხრეთი საქართველო XVIII საუკუნის I ნახევარში; ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის XVIII საუკუნის 40-80-იან წლებში; ქართული სამეფოები დაქვეითების გზაზე; ქართული სამეფოების გაუქმება და რუსეთთან მიერთება; ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:

შესავალი არქეოლოგიაში; წყაროთმცოდნეობა.

კურსის კოდი: HAB0120

კურსის დასახელება: **წინაისტორიული ხანის საქართველოს არქეოლოგია 1** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: წინაისტორიული ეპოქის საქართველოს არქეოლოგიური პერიოდიზაცია; უძველესი ჰომინიდები საქართველოში (დანისელი ადამიანი); ადამიანთა საზოგადოების საწყისი ფორმები - პრათემი, ადრეგვაროვნული თემი, ოჯახი და ქორწინების ფორმები, დედისეული გვარი; ადამიანთა განსახლება ამიერკავკასიაში ცალკეული პერიოდების მიხედვით; ქვის ხანის საცხოვრებელთა ტიპები; ქვის, ძვლის და ხის იარაღების ასორტიმენტი და დამუშავების ტექნოლოგია; ცეცხლის ” მოთვინიერება”; აზროვნებისა და მეტყველების წარმოშობა; იდეოლოგიურ წარმოდგენათა ჩასახვა; ხელოვნების წარმოშობა; მეურნეობის ფორმები და მათი ევოლუცია; მიწათმოქმედება-მესაქონლეობის განვითარება; მატერიალური კულტურა; ნამოსახლარებისა და საცხოვრისთა არქიტექტურა; მეთუნეობის წარმოქმნა; რთვა-ქსოვის გაჩენა; მცენარეთა და ცხოველთა ჯიშები; სულიერი კულტურა და ხელოვნება.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:

შესავალი არქეოლოგიაში; არქეოლოგიის საფუძვლები.

კურსის კოდი: HAB0140

კურსის დასახელება: **წინაისტორიული ხანის საქართველოს არქეოლოგია 2** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების პროცესები ენეოლითიდან ადრერკინის ხანის ჩათვლით; ლითონის ჭედვისა და დნობის ტექნოლოგიების ეტაპები და მათი გავლენა კაცობრიობის ეკონომიკურ-

პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე; მეტალურგიის საწარმოო ცენტრები და ლითონის განძები; ადრესამიწათმოქმედო, მტკვარ-არაქსის, თრიალეთის, იორ-ალაზნის და კოლხური კულტურები; ბრინჯაოს ეპოქის დასახლებათა ხასიათი და სამშენებლო საქმე; ბრინჯაოს სამეურნეო და საბრძოლო იარაღების დამზადების ტექნოლოგიები; კერამიკული წარმოება და ასორტიმენტი; სამარხი ნაგებობების კონსტრუქციები და სამარხეული ინვენტარი; საიუველირო ხელოვნება; ხელოსნობის დარგების დიფერენციაცია; ადგილობრივ კულტურათა ლოკალური ვარიანტები და ურთიერთობა მეზობელ კულტურებთან; მეურნეობის ხასიათი და ევოლუცია; დემოგრაფიული პროცესები და მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის პრობლემა; ადრეკლასობრივი სახელმწიფოების ჩამოყალიბების საკითხები.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:
წინაისტორიული ხანის საქართველოს არქეოლოგია 1

კურსის კოდი: HAB0130

კურსის დასახელება: **ეგეიდა-არქეოლოგია, კულტურა, ისტორია** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ეგეოსური სამყაროს ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა; ეგეოსური კულტურის შესწავლის წყაროები; საბერძნეთი ბრინჯაოს ხანაში; ეგეოსური კულტურის პერიოდიზაცია; კრეტის არქეოლოგიური ძეგლები; მინოსური კულტურის დახასიათება; აქეური საბერძნეთის არქეოლოგიური ძეგლები (ლერნა, აგიოს-კოსმა, დორიონი, მიკენი, ტირინთოსი, პილოსი; აქეური წარწერები); ტროას არქეოლოგიური ძეგლები; ეგეოსური კულტურა და ბერძნული მითოლოგია.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:
არქეოლოგიის საფუძვლები; კლასიკური ფილოლოგია; უძველესი ცივილიზაციები.

კურსის კოდი: HAB0140

კურსის დასახელება: **ანტიკური არქეოლოგია** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ანტიკურობის ცნება; ანტიკური კულტურის ქრონოლოგია და გავრცელების არეალი; ანტიკური კულტურის მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიაში; ანტიკური არქეოლოგიის განვითარების ეტაპები; ანტიკური ქალაქების წარმოშობის საკითხები და საქალაქო ინფრასტრუქტურა; საერო და საკულტო არქიტექტურა; ბერძნული ქანდაკება, კერამიკა, ლითონის პლასტიკა; ბერძნული კოლონიზაციის არეალი და პრობლემები; ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის ბერძნული ქალაქები; სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება; ელინისტური კულტურის წარმოქმნის საკითხები და მნიშვნელობა; ელინისტური სამყაროს არქეოლოგიური და ხელოვნების ძეგლები.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:
შესავალი არქეოლოგიაში; არქეოლოგიის საფუძვლები; ეგეიდა-არქეოლოგია, კულტურა, ისტორია.

კურსის კოდი: HAB0150

კურსის დასახელება: **პრეისტორიული და კლასიკური ეპოქების არქეოლოგიური კულტურები** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილ კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობა; ადამიანის წარმოშობა და ანთროპოგენეზის პროცესები; პირველყოფილი ადამიანთა განსახლების არეალი და კულტურა; პრეისტორიული ეპოქის აზიისა და ევროპის, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების (ეგვიპტე, შუმერი, ელამი, ასურეთი, ხეთების სამეფო, ურარტუ, ბაბილონი, ირანი, ჩინეთი, ინდოეთი, პალესტინა, მცირე აზია); კულტურები და ცივილიზაციები; ეტრუსკული კულტურა; რომის არქეოლოგიური ძეგლები; რომაული კულტურის რადიაცია; რომაული სამყაროს ხელოვნება; სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები, მიგრაციის პროცესები, სხვადასხვა კულტურათა ურთიერთგავლენა და მათი წვლილი ზოგადსაკაცობრიო კულტურის განვითარებაში.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: შესავალი არქეოლოგიაში; არქეოლოგიის საფუძვლები; უძველესი ცივილიზაციები.

კურსის კოდი: HAB0160

კურსის დასახელება: **კლასიკური და შუასაუკუნეების ეპოქათა საქართველოს არქეოლოგია 1** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ანტიკურობის ცნება; საქართველოში ანტიკური კულტურის ქრონოლოგია, პერიოდიზაცია და გავრცელება; ანტიკური კულტურის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში; ანტიკური ეპოქის მატერიალური კულტურა; ანტიკური ქალაქები; ხუროთმოძღვრება - არქიტექტურული ორდერები - ნაგებობათა ტიპები; ქანდაკება; კერამიკა; ბერძნული კოლონიზაციის პრობლემები და თავისებურებები; პირველი ქართული სახელმწიფოების (კოლხეთი და იბერია) ჩამოყალიბების საკითხები და მათი ურთიერთობა ანტიკურ სამყაროსთან; ხელოსნობა; ვაჭრობა; ფულადი ემისია; რელიგია და პანთეონი; დაკრძალვის წესები და სამარხი ნაგებობები; ანტიკური ეპოქის საომარი ტექნოლოგიები (ფორტიფიკაცია, შეიარაღება, სტრატეგია და ტაქტიკა); რომაული კულტურის რადიაცია საქართველოში.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:

შესავალი არქეოლოგიაში; არქეოლოგიის საფუძვლები; წინაისტორიული ხანის საქართველოს არქეოლოგია.

კურსის კოდი: HAB0190

კურსის დასახელება: **კლასიკური და შუასაუკუნეების ეპოქათა საქართველოს არქეოლოგია 2** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიის პერიოდიზაცია; ეპოქის თავისებურებები და სოციალ-ეკონომიკური საფუძვლები; საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საკითხები არქეოლოგიური მასალების მიხედვით - პირველი ტაძრები და ეკლესიები, ქრისტიანული დაკრძალვის წესი და ქრისტიანული სიმბოლიკით შემკული ინვენტარი; ქალაქები და საქალაქო ცხოვრება; საეკლესიო ცენტრები; ნამოსახლარები; ხელოსნობის დარგები და საწარმოო ცენტრები; კერამიკა, მინის წარმოება, სამკაული; თავდაცვის სისტემები, საომარი ტექნოლოგიები და იარაღ-საჭურველი შუა საუკუნეების საქართველოში; ფულადი მიმოქცევა და ეკონომიკა; საერო არქიტექტურის ძეგლები; საეკლესიო ხუროთმოძღვრების ტიპები; სანიტარულ-ჰიგიენური და საკომუნიკაციო ნაგებობები; ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის გზები; სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან შესაბამისი არქეოლოგიური მასალების საფუძველზე.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:

კლასიკური და შუასაუკუნეების ეპოქათა საქართველოს არქეოლოგია 1

კურსის კოდი: HAB0170

კურსის დასახელება: **ქალაქები და საქალაქო ცხოვრება საქართველოში 1** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საქართველოში ურბანიზაციის წინაპირობები და ქალაქთა წარმოშობის პრობლემები; კოლხური ქალაქები კლასიკურ და ელინისტურ ეპოქაში; ქალაქების წარმოშობა ელინისტური ხანის ქართლში; აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქები გვიანანტიკურ ხანაში; ქართლის ქალაქები რომაულ ხანაში; ახალქალაქობის ეპოქა ეგრისსა და ქართლში; ანტიკური ეპოქის ქალაქთა ხუროთმოძღვრება (თავდაცვითი ნაგებობანი, ტაძრები, სასახლეები, აკლდამები); პოლიტიკური და რელიგიური ცენტრების საკითხი ანტიკურ ხანაში; ანტიკური ქალაქები კოლხეთ-ლაზიკისა და იბერია-ქართლის თავდაცვის სისტემაში.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:

შესავალი არქეოლოგიაში; არქეოლოგიის საფუძვლები; წინაისტორიული ხანის საქართველოს არქეოლოგია; ანტიკური არქეოლოგია.

კურსის კოდი: HAB0200

კურსის დასახელება: **ქალაქები და საქალაქო ცხოვრება საქართველოში 2** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: შუა საუკუნეებში ქალაქთა წარმოშობის წინაპირობები და განვითარების ეტაპები; საქალაქო ცხოვრების დაქვეითება და ამ პერიოდში დაწინაურებული პოლიტიკური ცენტრები; საქალაქო ინფრასტრუქტურა, ქალაქთა მართვის ორგანიზაცია და სტატუსის პრობლემა; საქალაქო მეურნეობების დარგები; ფეოდალური ქალაქების წარმოშობა-განვითარება; გარდამავალი ეპოქის ქართული ქალაქები; პოლიტიკური და

რელიგიური ცენტრების საკითხი ადრეშუასაუკუნეების საქართველოში; ერთიანობის ეპოქის ქართული ქალაქები; გვიანი შუასაუკუნეების ხანის ქალაქები; საქალაქო მეურნეობის დარგები; ციხე-ქალაქთა ფორტიფიკაცია; ქალაქები ქვეყნის თავდაცვის სისტემაში.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:
ქალაქები და საქალაქო ცხოვრება საქართველოში 1

კურსის კოდი: HAB0180

კურსის დასახელება: **სამუზეუმო საქმე და პრაქტიკა 1** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სიძველეების შეგროვების ტრადიციები უძველეს ცივილიზაციებსა და ანტიკურ ეპოქაში; მუზეუმების ისტორია საქართველოსა და მსოფლიოში; საკანონმდებლო აქტები სამუზეუმო საქმისა და სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის შესახებ საქართველოში; მუზეუმების მოწყობის თანამედროვე სტანდარტები; სამუზეუმო ექსპედიციების ჩატარების მიზნები და მეთოდები; სამუზეუმო კოლექციები და მათი დაცვა; რესტავრაცია-კონსერვაციის მეთოდები; კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია; გამოფენების ორგანიზაცია; საექსკურსიო საქმიანობა.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:
არქეოლოგიის შესავალი; არქეოლოგიის საფუძვლები; არქეოლოგიური კვლევისა და კოლექციების დაცვის მეთოდიკა.

კურსის კოდი: HAB0210

კურსის დასახელება: **სამუზეუმო საქმე და პრაქტიკა 2** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ათვისებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული განხორციელება - სამუზეუმო ექსპედიციებში (ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური) მონაწილეობა; სხვადასხვა სახისა და თემატიკის გამოფენების ორგანიზაცია და მოწყობა; საექსკურსიო საქმიანობა მუზეუმსა და იმერეთი რეგიონის ისტორიულ ძეგლებზე; მუზეუმების სხვადასხვა სტუქტურული ერთეულების საქმიანობის გაცნობა და მომავალი საქმიანობისათვის შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება; სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაცია-კონსერვაციაში მონაწილეობა.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:
სამუზეუმო საქმე და პრაქტიკა 1

კურსის კოდი: HAB0220

კურსის დასახელება: **ბიზანტიური ცივილიზაცია** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურ-სოციალური ისტორია და კულტურა; სახელმწიფო წყობილება და პოლიტიკური სისტემა; საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები; ქრისტიანული რელიგია და სამონასტრო ცენტრები; განათლების სისტემა და სასწავლო კერები; ისტორიული და

საეკლესიო წყაროები; მხატვრული ლიტერატურა; საერო და საეკლესიო არქიტექტურა; სახვითი ხელოვნება; საიუველირო ხელოვნება და ლითონის პლასტიკა; სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები; ბიზანტიური კულტურის გავლენა საქართველოზე.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:

კლასიკური ენები, უძველესი ცივილიზაციები; ანტიკური არქეოლოგია; კლასიკური და შუასაუკუნეების საქართველოს არქეოლოგია

კურსის კოდი: HLB0510

კურსის დასახელება: **ქართული ენა** (2, 5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართველი ერის ისტორიული განვითარების გზა, ქართული ენის წარმოშობა და მისი თეორიები, ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა სისტემაში, ქართული დამწერლობის წარმოშობა, განვითარების ეტაპები, ქართული ენის ურთიერთობა სხვა ენებთან, დიალექტები და ურთიერთობა სალიტერატურო ენასთან, ქართული ენის ნორმირების საკითხები.

კურსის კოდი: HGB0100

კურსის დასახელება: **ქართული ლიტერატურა** (2, 5 კრედიტი)

აღნიშნული კურსის შესწავლა სტუდენტს გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის ქართული მწერლობის სამივე პერიოდის (ძველი, XIX და XX საუკუნეების) უმთავრეს პრობლემურ საკითხებზე. იგი მიიღებს არა მარტო სათანადო მეცნიერულ ინფორმაციას ზემოთქმულთან დაკავშირებით, არამედ მაღალ პროფესიულ დონეზეც გაერკვევა ქართული ლიტერატურის ისტორიის არსსა და ქართველი კლასიკოსი მწერლების შემოქმედების უმთავრეს პრობლემატიკაში, რაც გაანალიზებული იქნება ევროპული ლიტერატურის კონტექსტში.

კურსის კოდი: HEB0370

კურსის დასახელება: **უცხო ენა** (5 კრედიტი).

უცხო ენის სწავლება მიზნად ისახავს სტუდენტებს შეასწავლოს პროგრამით გათვალისწინებული სახელმძღვანელოს ტექსტების გარკვეული რაოდენობა. კონკრეტულ მასალაში ასახული ლექსიკური მინიმუმის პრაქტიკული გამოყენება საუბარში და ამ მინიმუმზე დაყრდნობით, წაკითხული ტექსტის შინაარსის გადმოცემა ზეპირად და წერით. ამასთანავე, სტუდენტმა უნდა შეძლოს საუბარი უცხო ენაზე. საშუალო სირთულის ორიგინალური ტექსტის გაგება, მისი შინაარსის თხრობა, საგაზეთო სტატიის წაკითხვა და თარგმნა, მისი მოკლე შინაარსის გადმოცემა. ამავე დროს, სტუდენტს უნდა შეექმნას წარმოდგენა იმ ქვეყნის ცივილიზაციასა და კულტურაზე, რომლის ენასაც სწავლობს. შესაბამისად, კურსი ითვალისწინებს ისეთი ტექსტების შესწავლას, რომელიც ღირებულია ამ თვალსაზრისით.

პროგრამის არჩევითი კურსები

კურსის კოდი: SWB0570

კურსის დასახელება: **ძველი მსოფლის ისტორია** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ძველი აღმოსავლეთის (შუამდინარეთის, ეგვიპტის, პალესტინის, მცირე აზიის, ირანის, ინდოეთის, ჩინეთის) ისტორია; პირველი სახელმწიფოების და კლასობრივი საზოგადოებების ჩამოყალიბება; პირველი კულტურული დაწესებულებების შექმნა; ხელოსნობა და ვაჭრობა; სამხდრო საქმე; რელიგიები და ფილოსოფიური სკოლები; პირველი საკანონმდებლო აქტები; საგანმანათლებლო კერები; უძველესი კალენდრები; ძველი საბერძნეთის ისტორია; სახელმწიფოებრიობის ევროპული სისტემები; ბერძნული პოლისები; ბერძნული კოლონიზაცია; ელინისტური სახელმწიფოები; ძველი რომი რესპუბლიკის ეპოქაში; პუნიკური ომები; რომი იმპერიის ხანაში.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:

უძველესი ცივილიზაციები; პრეისტორიული და კლასიკური ეპოქების არქეოლოგიური კულტურები; ანტიკური არქეოლოგია.

კურსის კოდი: HAB0071

კურსის დასახელება: **ეთნოლოგიის ზოგადი კურსი** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ეთნოლოგიის ობიექტისა და საგნის, წყაროთმცოდნეობითი ბაზისა და მეთოდოლოგიური საფუძვლების ზოგადი მიმოხილვა; ეთნოსის თეორიული მოძღვრების საფუძვლები; ისტორიოგრაფიის ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის ძირითადი ეტაპები; ეთნოსთა სამეურნეო ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურის, სოციალური ურთიერთობის ფორმების განვითარებისა და ჩამოყალიბების ისტორიული პროცესების მიმოხილვა და ანალიზი; ქართველთა ენობრივი და ეთნიკური ისტორიის საკითხები; ქართველი ერის კუთხურ-ეთნოგრაფიული მახასიათებლებით გამორჩეული ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები, რომლებიც ვლინდებიან სამეურნეო ყოფაში, მატერიალურ და სულიერ კულტურაში; ქრისტიანობის როლი ქართველთა კულტურის განვითარებაში.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:

უძველესი ცივილიზაციები; პრეისტორიული და კლასიკური ეპოქების არქეოლოგიური კულტურები; წინაისტორიული ხანის საქართველოს არქეოლოგია; კლასიკური და შუასაუკუნეების ეპოქათა საქართველოს არქეოლოგია.

კურსის კოდი: HAB0091

კურსის დასახელება: **ბერძნულ-რომაული სამყარო და საქართველო** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ბერძნული კოლონიზაციის მიზეზები და ეტაპები; აღმოსავლეთ შავიზღისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის თავისებურებები; იმპორტი და ექსპორტი კლასიკურ ხანაში; ელინისტური კოლონიზაცია და

ქართული კულტურა; აბრეშუმის გზა და სავაჭრო-ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობები დასავლეთსა და აღმოსავლეთთან ელინისტურ ეპოქაში; რომის ექსპანსია კოლხეთსა და იბერიაში; რომაული კულტურის რადიაცია საქართველოში; რომაული თავდაცვითი სისტემები ეგრისში; ადრებიზანტიურ ხანაში ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების ურთიერთობები.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:

კლასიკური ენები; არქეოლოგიის საფუძვლები; ანტიკური არქეოლოგია; კლასიკური და შუასაუკუნეების ეპოქათა საქართველოს არქეოლოგია.

კურსის კოდი: HAB0101

კურსის დასახელება: **მსოფლიო კულტურა-ისტორიული კვლევის ობიექტი** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კულტურის განვითარების საკითხები სხვადასხვა საზოგადოებებში; კულტურის მოზაიკური ბუნება; კულტურული თანაცხოვრების მიზეზ-შედეგობრივი კავშირები; მსოფლიო კულტურაში მიმდინარე პროცესების ანალიზი; მემკვიდრეობითი პრინციპები; დიქიტომია- დასავლეთი-აღმოსავლეთი; კულტურათა დიფუზია და თანაარსებობა-შეგუებულობის საკითხები; მსოფლიო და ქართული კულტურის შეცნობა კულტურის ისტორიული ტიპოლოგიის საერთაშორისო კონცეფციათა გამოყენებით; ქართული კულტურის განვითარების საკითხები დროსა და სივრცეში, სხვადასხვა საზოგადოებებში და სფეროებში ცვლილებებთან დინამიკაში; ქართული კულტურის ყოველ ტიპში მიმდინარე არსებითი და მეორეხარისხოვანი პროცესების ანალიზი; თანამედროვე კულტურული პროცესები.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:

არქეოლოგიის საფუძვლები; უძველესი ცივილიზაციები; ანტიკური არქეოლოგია; კლასიკური და შუასაუკუნეების ეპოქათა საქართველოს არქეოლოგია; ბიზანტიური ცივილიზაცია.

8. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააზარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაზარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.